პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ სამშაბათი 10 ოქტომბერი 1978 წ. ☐ № 238 (17282) ☐ ფასი 2 კაპ.

დასავლეთ საქართველოს მევენახენი ესტაფეტას იღებენ

თერჯოლაში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საკითხი დასავლეთ საქართველოს რაიონების მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალებათა უთუო შესრულების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

თათბირზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონების პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, აღინიშნა, რომ საქართველოს მევენახეებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშალეს შეჯიბრება ხუთწლედის დამკვრელური წლის გეგმებისა და ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის.

თათბირზე აღინიშნა, რომ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეებმა. რესპუბლიკის მთელმა რიგმა რაიონებმა სამშობლოს უპირველეს დავალებათა შესრულება. კახეთის რაიონებში უკვე დამზადებულია 315 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 309.300 ტონის ნაცვლად. ახლა შრომითს ესტაფეტას დასავლეთ საქართველოს მევენახენი იღებენ. იმაზე, თუ როგორ დაამთავრებენ რთველს ისინი, ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის მიერ ყურძნის დამზადების ხუთწლედის დამკვრელური წლის დავალების შესრულება.

ახლა რთველის ყველა მონაწილის, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების. სამინისტროებისა და უწყებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ღვინის მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, ავტოტრანსპორტის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ მოსავლის ასაღები კონვეიერის ორგანიზებული, შეთანხმებული მუშაობა.

დასავლეთ საქართველოს მშრომელებმა უნდა მოიწიონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 127 ათასი ტონა ყურძენი. **ამ დავალების შესრულებაში ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ ზესტაფონის, ვანის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების მეურნეობებმა.**

თათბირზე დაისვა საკითხი სწრაფი ტემპით რთველის ჩატარების შესახებ, რათა იგი **12-15 დღეში დამთავრდეს.** არ უნდა დავივიწყოთ, რომ შემოდგომა უკვე ძალაში შევიდა და უამინდობამ შეიძლება არარად აქციოს მთელი წლის ნაშრომი. უნდა დავრაზმოთ მთელი შრომითი რესურსები, მოგვარდეს კონვეიერის — ვენახი-ავტოტრანსპორტი-ქარხნის ყველა რგოლის შეთანხმებული მუშაობა. უნდა გადავიღოთ კახეთის მევენახეთა მოწინავე გამოცდილება, რომლებმაც პრაქტიკულად ცხადყვეს, თუ რა შეუძლია ორგანიზებულობას, მაღალ შრომითსა და ტექნოლოგიურ დისციპლინას.

ყოველ რაიონში რთველი უნდა წარიმართოს ყოველმხრივ მოფიქრებული პროგრამით, გავითვალისწინოთ მოსალოდნელი სიძნელენი კრეფაში, მოსავლის მიტანასა და გადამუშავებაში.

თათბირის მონაწილეებმა თქვეს, რომ დასავლეთ საქართველო ისეთი უნიკალური ჯიშის ყურძნის მიმწოდებელია, როგორიც არის „ოჯალეში“, „ალადასტური“, „ალექსანდროული“, „უსახელოური“ და სხვები. **საჭიროა რთველი ისეთ დონეზე ჩატარდეს, რომ არ დაიკარგოს არც ერთი კილოგრამი ძვირფასი მარცვალი.** „რთველი-78“-ის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ავტოტრანსპორტის მუშაკთა შეწყობილ მუშაობაზე, ავტომობილებით, მისაბმელიანი ტრაქტორებით მეურნეობათა უზრუნველყოფაზე. ამისათვის ფართოდ იზრუნეს შესაბამისმა უწყებებმა, რომლებმაც დამატებით გამოყვეს ტრანსპორტი, სათადარიგო ნაწილები, ავტოსაბურავები. ყველა მეურნეობა ძირითადად უზრუნველყოფილია ტრანსპორტით:

მოსავლის ასაღები კონვეიერის დიდმნიშვნელოვანი რგოლია „სამტრესტის“ გადასამუშავებელი საწარმოები. ყურძნის კრეფის დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ღვინის ქარხნებში დამატებით დაიდგა თერთმეტი ახალი ხაზი. „სამტრესტის“ საწარმოები უზრუნველყოფილი არიან ღვინომასალის შესანახი ჭურჭლით და მზად არიან მთელი მოსავლის მიღებისა და გადამუშავებისათვის.

1978 წლის რთველის განმასხვავებელი ნიშანია შრომითი მეტოქეობის ახალი ფორმის — კომპლექსური შეჯიბრების ყველგან დანერგვა მახარაძელ მეჩაიეთა მაგალითისამებრ. მევენახეთა, ავტოტრანსპორტისა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა მხარდამხარ შეჯიბრებაში მონაწილეობენ კულტურის, საყოფაცხოვრებო სამსახურის, საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის მუშაკებიც. მხოლოდ საერთო მეცადინეობით, აღინიშნა თათბირზე, შეიძლება მივაღწიოთ წარმატებას ხუთწლედის დამკვრელური წლის ვალდებულებათა შესრულებაში.

1978 წლის რთველმა საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მუშაკებს. დიდძალ ყურძენს საზოგადოებრივ მარანში მიიღებენ საკარმიდამო ნაკვეთებიდან. ახლა დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში წარმოებს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობას შორის, ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს, ცალკეულ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის, რათა სახელმწიფოს მიჰყიდონ მაქსიმალური რაოდენობის ყურძენი საკარმიდამო ნაკვეთებიდან.

თათბირზე ითქვა, რომ პარტიულმა, სამეურნეო, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სახალხო კონტროლის მუშაკებმა მკაცრად უნდა აღრიცხონ სახელმწიფო ფოვლათი, უზრუნველყონ მოსავლის სრული დაცვა-შენახვა. არ უნდა მივუშვიგდეთ ხალხისა და სახელმწიფოს მოტყუების არც ერთ ფაქტს.

ამავე დროს, აღნიშნეს ორატორებმა, უნდა ვიზრუნოთ მომავალი წლის მოსავლისთვისაც, განვახორციელოთ საშემოდგომო სამუშაოთა კომპლექსი ბაღებში, მინდვრებში, მოვემზადოთ ციტრუსების მოსავლის აღებისათვის. რთველთან ერთად სოფლის მშრომელებმა არ უნდა შეანელონ ხილის, ბოსტნეულის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების ტემპი. წარმატებით გადაწყვიტონ მტკიცე საკვები ბაზით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფის საკითხები.

თათბირზე აღინიშნა, რომ დღეს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე არის პირობები ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და რესპუბლიკის მევენახეებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა პირნათლად შეასრულონ ვალდებულებანი.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები: თერჯოლისა — **ა. ბურჯანაძე,** ზესტაფონისა — **ბ. მერკვილაძე,** ვანისა — **ჯ. ახმეტელი,** მაიაკოვსკისა — **ა. ჩარქესელიანი,** ორჯონიკიძისა — **შ. დევდარიანი,** ჩოხატაურისა — **თ. იმედაძე,** მახარაძისა — **დ. დვალიშვილი,** სამტრედიისა — **შ. ცაგარეიშვილი,** ცხაკაიისა — **ვ. ესვანჯია,** წყალტუბოს საქალაქო კომიტეტისა — **დ. კიკნაძე,** ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა — **გ. ფხაკაძე,** პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. მოსკალენკო,** აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. უნგიაძე,** პარტიის საჩხერის რაიკომის მეორე მდივანი **მ. მაჭარაშვილი,** პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **გ. ნოზაძე** და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. პატარიძემ.**

თათბირს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ო. ვარძელაშვილი.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.** (საქინფორმი).

512.000 ტონა ყურძენისათვის!

ჯემპი, მევენახეებო!

„სამტრესტის“ ცნობებით, 8 ოქტომბრისთვის (ტონობით)

რაიონები	1978 წლის გეგმა	8 ოქტომბრის მდგომარეობა	სულ დამზადება
გურჯაანის	88000	1323	108428
თელავის	61200	2526	58476
ყვარლის	38000	880	38895
სიღნაღის	34000	1363	37363
ახმეტის	30400	1841	25488
წითელწყაროს	25100	684	24498
საგარეჯოს	24100	955	14629
მარნეულის	19000	434	17171
გოლნისის	11480	435	12032
გარდაბნის	10500	191	4384
ლაგოდეხის	8500	324	7162
მცხეთის	9050	243	1289
ხაშურის	5500	183	1701

☐ *8 ოქტომბერს მოიკრიფა 11.920 ტონა ყურძენი.*

☐ *სულ რესპუბლიკაში მოკრეფილია 354.669 ტონა ყურძენი.*

☐ *გასულ წელთან შედარებით ამ დროისათვის მოკრეფილია 68.252 ტონით მეტი.*

საკარმიდამო ნაკვეთებიდან

ახმეტის რაიონი

ქრისტაურელმა მარიამ ლაჩაშვილმა საკარმიდამო ვენახიდან სახელმწიფოს 4.390 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა. მისმა თანასოფელმა **თამაზ აივაზაშვილმა** — 4.570 კილოგრამი, მაღრანელმა **ლალამ ხომიზურაშვილმა** — 3.640 კილოგრამი, მისმა მეზობელმა **გიორგი მექვეტრიშვილმა** — 3.870 კილოგრამი, ქვემოალვანელებმა **ალექსი ლეგუშაიძემ** — 3.365 კილოგრამი, **ირაკლი ბაჩულაშვილმა** — 3.320 კილოგრამი.

ბოლნისელებმა ვალდებულება გაანაღდეს

რაიონის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იელისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, ვადაზე ადრე, სსრ კავშირის კონსტიტუციის წლისთავზე გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა-ვალდებულება. **11.480 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 12.032 ტონა ყურძენი.**

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 7.100 ტონა ყურძენი და ამით ვალდებულებას დიდად გადააჭარბეს, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 78,8 ცენტნერი,

ბოლნისელი მევენახეები კვლავ განაგრძობენ ყურძნის კრეფასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას. არის შესაძლებლობა სახელმწიფოს მიეყიდოს 13.000 ტონაზე მეტი ყურძენი. ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ აღნიშნული ნაკისრი ვალდებულებაც შესრულდეს.

ო. ღლონტი,
საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.



ველს, ყურძნის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში თავი ისახელა ყვარლის რაიონის ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა.

სურათებზე: (მარცხნიდან) ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა თ. ხუციაშვილი და მექანიზატორი თ. ტეტოშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

მოკრეფილია 41.000 ტონა, იქნება 55.000 ტონა!

საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რ. ურჯუმელაშვილი გვატყობინებს:

ვიდრე ეს გულუხვი შემოდგომა მოვიდოდა, რაიონის მევენახეები დარსა თუ ავდარში თავგამოდებით, ძალ-ღონის დაუზოგავად შრომობდნენ. შარშან შემოდგომიდან დაწყებული წლევანდელ რთველამდე ჩვენი მუხლმაგარი და საზრიანი მეზვრეები ვაზს დასტრიალებდნენ, მიწას უფხვიერებდნენ, სხლავდნენ, ახვევდნენ, ოთხნიდნენ, რწყავდნენ, წამლავდნენ.

საუბარი მევენახეებით იმიტომ დავიწყე, რომ პირველ რიგში ისინი არიან ამ უხვი რთველის შემოქმედნი, სწორედ მათმა მარჯვენამ და გამჭრიახობამ მოიყვანა ეს დიდი, რაიონისათვის სარეკორდო მოსავალი. რა თქმა უნდა, მევენახეთა ამ დიდი არმიის აუანგარში კომუნისტები იყვნენ და არიან.

უხვი მოსავლის მოყვანა და მისი დროული, ორგანიზებული დაბინავება სოფლის აქტივზე დიდად არის დამოკიდებული. აქ კი ქებით - უნდა - მოვიხსენიოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები. პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მევენახეებთან ერთად მათ ეხარდმხარ იბრძოდნენ ყურძნის უხვი მოსავლისათვის.

მთელი რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივი რთველის დროს ფეხზე დადგა. მათმა ორგანიზატორულმა დაუღალავმა მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი რთველის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს და პირველი დიდი გამარჯვებაც უკვე მოპოვებულია — **ახალი-კონსტიტუციის წლისთავისადმი რაიონის მევენახეებმა გეგმა შეასრულეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 38.000 ტონა ყურძენი,** ხოლო გუშინ ვალდებულებაც გადამეტებით გავანაღდეთ. **სახელმწიფო მარანში მიტანილია 41.000 ტონამდე ყურძენი, აქედან 8.570 ტონა ხაკარმიდამო ზვრებშია მოკრეფილი, დანარჩენი — საზოგადოებრივში.**

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გრეშის საბჭოთა მეურნეობა. მაკ სახელმწიფოს 3.500 ტონა ყურძენი უკვე მიჰყიდეს და ამით გეგმა შეასრულეს. „ბუმის ვენახებში რთველი ახლა განაღდა ფართოდ. მეურნეობის დირექტორმა გ. ხოსროშვილმა მევენახეთა სახელით პირობა დადო, ერთი ამდენი კიდევ იქნებაო. 7 ათასი ტონა ყურძენი მარტოდ რომ გამარჯვებულა! ყვარლის მეურნეობამ (დირექტორი ზ. იოსებაშვილი) 2.760 ტონა უკვე მიიტანა მარანში, სულ კი 4.400 ტონა იქნება; ყვარლის ქინძმარაულის მეურნეობამ (დირექტორი — ს. სეფაშვილი) ნაცვლად 3.800 ტონისა 3.850 ტონა მიჰყიდა სახელმწიფოს, კიდევ 1.150 ტონა იქნება. ენისელის მეურნეობამ (დირექტორი — ზ. ჩახტარი) ნაცვლად 1.800 ტონისა 2.060 ტონა მიიტანა სახელმწიფო მარანში, კიდევ იქნება 940 ტონა.

ყურძნის მიყიდვაში თავი გამოჩინეს ჭიკაანის, ახალსოფლის, გავაზის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც შესაბამისად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.990, 3.500 და 3.290 ტონა ყურძენი და ამით გეგმები დიდი გადამეტებით შეასრულეს.

რთველი წარმატებით გრძელდება. ყვარლის რაიონის ზვრებიდან კიდევ იქნება 14.000 ტონა ყურძენი, ე. ი. სულ 55.000 ტონა. ასეთი რთველი ყვარელში ჯერ არ ყოფილა.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-31“ — „პროგრეს-4“:

მიმდინარეობს გადმოტვირთვა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 9 ოქტომბერი. (საკადრო). 116 დღეა დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში მუშაობენ ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოები.

სამუშაო დღე ორბიტულ კოსმოსში დღეს მოსკოვის დროით დილის 6 საათზე დაიწყო და 23 საათამდე გასტანს.

საუზმისა და კომპლექსის საბორტო სისტემების შემოწმების შემდეგ ეკიპაჟი ასრულებს „პროგრეს-4“ სატრანსპორტო ხომალდის გადმოტვირთვის სამუშაოებს.

გადმოტვირთვის პარალელურად „სალუტ-6“ სადგურის სათბობი ტეგადობებს ამზადებენ „მაგაწყობისათვის. ამ მიზნით გაერთიანებული ძრავის დანადგარის აეზებიდან ტუმბავენ შეკუმშულ აირს.

ეკიპაჟის მოსსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „სალუტ-6“ — „სოიუზ-31“ — „პროგრეს-4“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ამხანაგ ე. ბერლინგუერს

ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ე. ბერლინგუერი ერთად. სურათზე: საუბრის დროს.

ხაჯდუნ-საქინფორმის ტელეფოტო.

9 ოქტომბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ამხ. ენრიკო ბერლინგუერს. ვიმართა აზრთა გაზიარება უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ გაწეული წლის მანძილზე მოხდარი ამბების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ა. სუსლოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბ. ნ. პონომარიოვი.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სრულდება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, როგორია მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულების პირველი ორწლინახევრის შედეგები, როგორ ხორციელდება **სსრ** კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებანი, როგორ წყდება კომუნისტური მშენებლობის დროს წამოჭრილი პრობლემები. მან სტუმარს გააცნო საერთაშორისო სამეიელზე კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა, საბჭოთა კავშირის ბრძოლა დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, გაფართოებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

თავის მხრივ ე. ბერლინგუერმა ილაპარაკა, თუ რა მოღვაწეობას წევს იტალიის კომუნისტური პარტია იტალიის წინაშე მდგომი პრობლემების გადასაწყვეტად. ეროვნულ იბრძვიან იტალიელი კომუნისტები მშრომელი მასების საარსებო უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფისათვის, ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. მან გააცნო ღონისძიებანი, რომლებსაც იტალიელი კომუნისტები ახორციელებენ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ბერლინგუერმა შემფოთება გამოთქვეს საერთაშორისო გითარების გართულების გამო ხანი გაუსვეს თავიანთ ფიქრს, რომ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის, მთელ მსოფლიოში მისი გავრცელებისათვის ბრძოლის გააქტიურებას.

მან კმაყოფილებით აღინიშნა, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის ამხანაგური ურთიერთობა, და გამოთქვეს მისწრაფება ხელი შეუწყონ ამ ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას.

საუბარში, რომელიც მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი თანამეგზავრ ამხ. ა. მ. ალექსანდროვი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები — იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ა. რობი და იტალიის კომპარტიის პრესის ბიუროს გამგე ამხ. ა. ტატო.

რიკოთის საავტომობილო გზის მშენებლებთან

ნატახტარ-ხაშურ-წუთისის-სამტრედიის საავტომობილო გზა რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალია. მისი ერთი ნაწილი რიკოთის უღელტეხილზე გადის. ამ მშენებარე საავტომობილო გვირაბი, რომლის სიგრძე ორ კილომეტრს აღწევს, ხელს შეუწყობს საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიურ და შეუფერხებელ მოძრაობას წელიწადის ნებისმიერ დროს. მას აშენებს „თბილისგვირაბშენის“ სამმართველოს № 9 გვირაბგამყვანი რაზმი.

რიკოთის გვირაბის მშენებლობის დამთავრების დაჩქარების მიზნით, გაყვანა მიმდინარეობს ორი მხრიდან — დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიდან. სამუშაოები რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში წარმოებს. ეშელონები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ისინი გრაფიკის გასწვრივ შეასრულონ. სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავე ბრიგადები, რომლებსაც სათავეში უდგანან გ. ფოფხაძე, ი. ოიგამაძე, ი. თედეშვილი, ს. ხარატიშვილი, ტ. გასიმოვი, ფ. გაჩეჩილაძე და სხვები.

დიდმნიშვნელოვან მშენებლობას ეწევიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, მათთან ერთად იყვნენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თ. დავითაშვილი, სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ლ. სარიშვილი, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ბედუკაძე და სხვები.

ამხანაგებმა ე. შევარდნაძემ, ზ. პატარიძემ, ჯ. პატიაშვილმა გამოიკითხეს მშენებლობის საქმის ვითარება, მუშაობა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებში. ახსნა-განმარტებას იძლეოდა „თბილისგვირაბშენის“ ხიმმართველი ალ. ფურცხვა. ბ. გოგიბერიძე.

(საქინფორმი).

ხუთწლედის ადამიანები

ენგურჰესის მშენებლობის უბანი, სადაც სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული დევნი ნადარაია, საკავშირო ღამკვრელურ მშენებლობაზე ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება.

კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი მეთაურობს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველი წლისთავისათვის შეასრულა ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი.

სურათზე: ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მშენებლობის მესამე უბნის სამუშაოთა მწარმოებელი კომუნისტი დევნი ნადარაია.

ი. პოსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მოქმედების საბრძოლო პროგრამა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს კომკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ".

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჟ. შარტავამ.** პლენუმზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს მხურვალედ გამოეხმაურნენ. ამ ეტაპზე შეინიშნებოდა პარტიულმა ორგანიზაციებმა განაზღვრა თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელება თვალსაჩინოდ ახალი საფეხური, საბჭოთა სოფლის შემდგომი განვითარების მაგისტრალური ხაზი.

პლენუმმა კომკავშირის კომიტეტების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ფართოდ განაზოგადონ და გავრცელონ თაოსნობანი, მოწინავე გამოცდილება, რადგან რესპუბლიკის ახალგაზრდობის წვლილი ჩვენი ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარებაში ჯერ კიდევ კარ შეესაბამება საზოგადოების სწრაფად ბაზრდ მოთხოვნილებებს. საჭიროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ეკონომიკური ღონისძიებანი გაანხორციელონ სოფლის მეურნეობის წინაშე დაყენული ამოცანების გადაწყვეტაში, ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მასში ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ კომკავშირულ ორგანიზაციათა უმრავლესი ამოცანაა დარაზმონ კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებისა და დასკვნების უფრო ნაყოფიერად შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის დავალებისა და საერთოდ ხუთწლედის მთლიანად და გადამარბიენი შესრულებისათვის საბრძოლველად.

რესპუბლიკის კომკავშირის XXXI ყრილობის შემდგომ პერიოდში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ პლენუმზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჭ. ახლანიკაშვილმა.**

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეოთხეთ და ბიუროს [illegible] ალკკ ცენტრალური [illegible] ალკკ ცენტრალურ [illegible] **ბ. ბ. ბოკლეი.**

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგე **შ. ვ. კოხრეიძე.**

პლენუმის მუშაობის **შედეგები** შეაჯამა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მდივანმა **ჟ. შარტავამ.**

(საქინფორმი).

ყვარელელმა მეგენახეებმა წლევანდელ უამინდობასთან ჭიდილს დიდი ჯაფა და ზღვა ოფლი შეალიეს, მაგრამ ზღვა მოსავალიც მოიწიეს და წვალება ასმაგად აუნაზღაურდათ.

სანიმუშოდ ნაპატრონებმა ზვრებმა მათ საფუძველი მისცა რთველის დაწყების წინ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის ალსანიშნავად მნიშვნელოვნად გაეფიდებინათ სოციალისტური ვალდებულება. — ახლა ყვარელი მეგენახეები 55 ათასი ტონისათვის იბრძვიან, ნაცვლად წინათ ნაკისრი 40 ათასი ტონისა. ეს დავალება დღეისათვის უკვე შესრულებულია. მოკრეფილია 41 ათასი ტონა ყურძენი. დიდი და პატარა, მუშა და მოსამსახურე, მთელი პარტიული აქტივი ვენახშია გასული. მათი უპირველესი საზრუნაკია ადამიანები დარაზმონ ყურძნის დიდი მოსავლის პოლ დროში და ხარისხიანი აღებისათვის. კომუნისტები, სახალხო კონტროლიორები ფხიზლობენ, რათა თითოეული მტევანი, თითოეული მარცვალი უკლებლივ მივიდეს სახელმწიფო მარანში. რთველში ყოველდღიურად 7 ათასზე მეტი კაცი შრომობს. მოსავლის გადაზიდვაზე მუშაობს 467 ავტომანქანა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეროვლეთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციას.

ქინძმარაულელთა, ენისელთა, ვრემელთა და რაიონის ყველა მეურნეობის ვენახებში ბალანსი რთველია გაჩაღებული. ამგადაფასებულ მეზვრეებს სიხარული დაუფლებიათ.

— ჩვენი სიხარული ცას სწვდება, — გვეუბნება ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა მარო ლოლიძე და ვენახის ერთ-ერთ რიგზე მიგვიძეთითებს, — ამ რიგიდან შარშან ერთი-ორი ვედრო ყურძენი ძლივს გამოგვქონდა, ეხლა კი ვედროს ერთი ვაზი ავსებს, — ეს თქვა და ისე მოფცურავდა გადაუსვა ხელი მტევნებით დახუნძლულ ვაზს, თითქოს გულში უნდა ჩიკრავსო.

ქინძმარაულელებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლევანდელი გეგმა-ვალდებულება უკვე გაანაღდეს და ახლა გაფიდებული ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვიან. მიუხედავად ამისა, ყურძნის კრეფის ტემპი მატულობს. დღეში 300 ტონაზე მეტი დათიბულია საღერავი იგზავნება ღვინის მარანში.

გეგმის გადამეტებით 3.800 ტონა ყურძნის მიღებისათვის ბრძოლაში პირველობენ ა. ამირანაშვილის, ო. ოსეფაშვილის, ი. რუსიაშვილის ბრიგადები. ისინი ჰექტარზე საშუალოდ 100-110 ცენტნერს კრეფენ და მოსავალიც მაღალხარისხოვანია. საფერავის ჯიშის ყურძნის შაქრიანობა 23-27 პროცენტს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისგან უტკბილესი საღვინე მასალა დაიწურება და ჩინებული ღვინო დადგება.

მეურნეობაში ყველა ვენახი სანიმუშოდ არის მოვლილი, მაგრამ ყურძნის სიუხვით ის 100-ჰექტრიანი ნაკვეთი გამოირჩევა, რომელსაც მამა-შვილებს — **ალეკო** და **ალეკო ბოლ-ქარიანებს** — **512 ათასი ტონა ყურძნისათვის**

ქინძმარაული, გრემი, ენისელი...

რეპორტაჟი

რი სტიმულირების ბევრ ღონისძიებას იყენებენ. მეკენახე გეგმის გადამეტებით წარმოებული მოსავლის ღირებულების 50 პროცენტს ღებულობს, რთველის პერიოდში კი მუშას, რომელიც დღეში ორ ნორმა ყურძენს ხარისხიანად კრეფს, ეძლევა ფულად ჯილდო 3 მანეთი. კრეფაში ყოველი 200 კილოგრამის გადაჭარბებისათვის კი — 1 მანეთი.

დაწესებულია ვეტერანთა მეკენახეების — ფ. ეარამიშვილის, ი. კუნიაშვილის, ს. ჯაფიაშვილის, ს. ყოჩიშვილის სახელობის პრემიები (60-100 მანეთის ოდენობით).

ყოველდღიურ შეჯიბრება-კონკურსში გამარჯვებული ბრიგადის ხელმძღვანელს ეძლევა ჯილდო 5 მანეთი, მძღოლს — 3 მანეთი და გადაჭარბებულ ყოველ რეისზე — დამატებით 1 მანეთი; ბრიგადას, რომელიც ყველაზე მეტ ყურძენს მოარეფს, გადაეცემა გარდამავალი დროშა; ბრიგადირს — უფასო დასასვენებელი საგზური; მოწინავე მუშებს — თითოეულს 30 მანეთი. ერთი სტაჟყვეთ, არ არის ბედმორნილი არც ერთი კატეგორიის მუშა, რომ მისთვის შეჯიბრების ორგანიზატორებს რაიმე დამატებითი ესტეტიკური ღონისძიება არ ჰქონდეთ გათვალისწინებული. ამის შედეგია, რომ მუშები ა. ქარიანაშვილი, კ. ნინიევი, თ. ბალთარაშვილი, ვ. ბაიდოშვილი, ა. მამულაშვილი და სხვები დღეურ ნორმას სამმაგი გადამეტებით ასრულებენ, და დღეში ხელფასის დამატებით 15-20 მანეთს ღებულობენ; წლის ბოლოს კი თითოეული მუშის პრემიის თანხა 2-3 ათას მანეთს შეადგენს.

მზრუნველი მეტვენახეთა დატვირთული მანქანა მანქანას მოჰყვება ენისლის მევენახეობის — თუ კაცს შრომა უყვარს, ვაზიც უფრად ისამს, — ამბობს შალვა შეკვირდოშვილი, — ავტომ გავბედე დამედო პირობა — თუ ჰექტარზე 20 ტონას ვერ მივიღებდი, მოსავლის დაბაკლისს ჩემი საკარმიდამოდან შეავსებდი. მართალია, პირობა შეკვასრულე, მაგრამ საკარმიდამოდან სახელმწიფოს მანდე 5 ტონა ყურძენს მივყიდი.

ენისლის მეურნეობაში სხვებიც ბევრნი არიან, რომლებიც მთელ თავიანთ გამოცდილებას, ძალას და ენერგიას კოლექტივის საქმეს ახმარენ და მევენახის ღირსებას თვალსაჩინოვით უფრთხილდებიან. მხოლოდ ამ პასუხისმგებლობამ შეაძლებინა ამაორ მევენახეებს მთელი დღე-ღამე გაესწორებინათ და ურწყავში ზაფხულის აუტანელი გვალვისაგან შეწუხებული ვაზისათვის 8 ლილმეტრი მანძილიდან სატუბები აგრეგატებით მაცოცხლებელი ტენი მიეწოდებინათ.

საათობით მუშაობს რთველის კონვეიერი „ენისახი-ქარხანა" გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ შარშანაც საიმედოდ დაბინავეს დიდი მოსავალი და გამოცდილება წელს უფრო განავითარეს. მეურნეობის ზვრებში ქუდზე კაკი მუშაობს და დღეში 300 ტონამდე ყურძენი იკრეფება. მე-3 განყოფილებაში (მმართველი — ს. ჩაბარაშვილი) ჰექტარზე 140-150 ცენტნერი მოიწევს.

გრემელთა ყურადღების ცენტრშია ფართოფიგიანი ახალშენი ვენახი, სადაც ვაზის რაოდენობა ჩვეულებრივზე სამჯერ ნაკლებია. მოსავლიან კი ძველ ვენახებს არ ჩამორჩება. ვენახის გაშენების ეს სიახლე გვიკარნახებს, რომ ვაზისათვის მთავარია პაერი და ნიადაგი, რასაც ის ფართოფიგიანი სისტემისაგან ღებულობს. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მეურნეობას ასეთი ვენახში კილოგრამი ყურძნის წარმოება 15 კაპიკი დაუჯდა, ჩვეულებრივში კი 31 კაპიკი. ამ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა ვენახში სამუშაოთა მოცულობის, ნახმარი მასალების ხარჯის შემცირება და მექანიზაციის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა.

ბარაქიანი რთველია საბჭოს მეურნეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ფ. ტურაშვილის ბრიგადა ჰექტარზე 150-160 ცენტნერ ყურძენს იწევს. მეურნეობის კოლექტივის საბრძოლო მიღებაა 6.000 ტონა, რაც გეგმით გათვალისწინებულს 1.520 ტონით აღემატება.

ასევითვე დიდი გადამეტებით შეასრულეს გეგმა-ვალდებულება გავაზის, ბალეოჯიანის, ჭიკაანის კოლმეურნეობებმა, მთისძირის, ეთერზეთების მეურნეობებმა. ეს მიღწევები შედეგია ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსისა, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის, რომ წლეულს რაიონში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის მხარი გაუწევიან, გამოგვეს და გადაეწვიენეს 3 მილიონ-ნახევარი ვაზი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყვარლის ზვრები თითქმის 1.000 ჰექტრით გაიზარდა.

ადამიანები გათენებიდან გვიან ღამემდე დაუცხრომლად ფუსფუსებენ ქინძმარაულის ღვინის ქარხანაში, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული, უბადლესი ტიპის ბუნებრივად მოტკბო ღვინოს, ოქროსმედალოსან „ქინძმარაულს" აყენებენ. აქ ყურძნის მიღების ავტომატიზებულ პროცესს ფხიზლად მართავენ მუშები გ. სეფაშვილი, თ. მათიკაკვილი და ზ. ჯერენაშვილი. საღრუნს თვალყურს ადევნებენ ქინძმარაულის და საბუის მეურნეობების ნდობით აღჭურვილი პირები — რ. ეარდოშვილი და ს. ქაფიანიძე; შაქრიანობასა და ავადე მეურნეობების წარმომადგენლები — ქ. ბატაიშვილი და შ. ლაფაური აკონტროლებენ. ქარხანაში ყვარლის ზვრების ბარაქას რიტმულად ეზიდებიან „საქსოფლტექნიკის" ავტომანქანები. როიელთა შორის ბევრი ქარელიდან, ცხინვალიდან, ენისიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ჩამოსული დასასმარებლად.

რაიონში 55 ათასი ტონა ყურძნისათვის ლაშქრობაში თავიანთ ღირსეულ სიტყვას ამბობენ ანდიდიდოელური ჩამბარელები. ჭირკერობით დამზადებული ყურძნიდან მათ ანგარიშზეა 8 ათას ტონაზე მეტი. ჭიკაანის კოლმეურნეობის პენსიონერმა ვ. ბელაძემ თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან ა.ნ სსრ მწოთოს 14.000 კილოგრამი ყურძენი მიპყიდა; ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ენისელებმა — ნ. ოთარაძემ და ვ. არეკვანიშვილმა, ბალეზელმა ო. ელეფანიშვილმა, ქინძმარაულელებმა — გ. ცირეკაშვილმა და ი. სეფაშვილმა; საზოზადოებრივმა მეურნეობებმა კი სახელმწიფოს მარანში უკვე 33 ათასი ტონა ყურძენი მიიტანეს და ამით პირნათლად გაანადგურეს ყურძნის დამზადების გეგმა.

რთველი წარმატებით გრძელდება.

ვ. კასრაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

„კომუნისტის" ქრონიკული გამო ვლის შემდეგ

როცა ყველა თვლემდა!

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 26 აგვისტოს ნომერში დაბეჭდა წერილი, რომელიც წითელწყაროს ორგონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის აღების დროს ათი ტონა ხორბლის დაკარგვას და სიღარიბეს ეხებოდა.

სოფლის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ხორბლის დამტაცებელთა და მათი ხელშემწყობების საქმე. **ხოფლტექნიკის წითელწყაროს განყოფილების შოფერებს დ. ჩუხლაშვილს, ა. ნადირაძეს და სავეველ კალოს დარაჯს ტ. თუშიშვილს სახალმართლომ 5-5 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სათანადო სასჯელი მიიღეს აგრეთვე ნაქურდალი ხორბლის შემსყიდველებმა. მოპარული ხორბალი კოლმეურნეობას დაუბრუნდა.**

პურის ქურდი

ჩვენი გაზეთის 10 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა წერილი „პურის ქურდი". ამასთან დაკავშირებით სოფლის რაიონის პროკურატურა გვატყობინებს, რომ მიმდინარე წლის 22 სექტემბერს სოფლის რაიონის სახალხო სასამართლომ ი. კოკლამაზაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ა. ვაიტაძის მონაწილეობით სოფელ ძველანაგაში გამსვლელ სხდომაზე განიხილა ჯ. ვ. ბასილაშვილის საქმე; **ბრალდებულს კოლმეურნეობის ხორბლის დაპატაცებისათვის სახალმართლომ მიუსაჯა ორი წლის თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

ი ოქტომბერს აკადემიკოს ა. ბ. ალექსანდროვის თავმჯდომარეობით გაიმართა კომიტეტის პლენუმი. რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმმა განიხილა 1978 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოპოვებისათვის კონკურსის მონაწილე ნაშრომები და მათი საზოგადოებრივი განხილვის შედეგები.

იდეოლოგიური მუშაობა: როგორ ვიყენებთ მის ძალას?

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის მეათე ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევარში შესრულების შედეგებისა და მისი მეორე ნახევრის ამოცანების შესახებ, დასახეს მიღწეულ წარმატებათა განმტკიცების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის და 1978 სამეურნეო წლის და მთელი მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა მთავარია მათი შესრულებისათვის მაღალნაყოფიერი და ორგანიზებული შრომა, ადამიანთა დარაზმვა კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენი საზოგადოების აღზრდისა და განვითარების ყველა სფეროსათვის, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში „ოქტომბერი და კაცობრობის პროგრესი", — სულ უფრო დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა ადამიანების შეგნების, კულტურის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ღონე. ... ...

ს. გ. შაუმიანის დაბადების 100 წლისთავისათვის



ერთგული ლენინელი

მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი პროპაგანდისტი

პარტიის ერთ-ერთი ისეთი მოღვაწე, ვ. ი. ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი, რომლებმაც იცოდნენ ყოველდღიური პრაქტიკული რევოლუციური მუშაობის ორგანული შერწყმა საზრიან თეორიულ მოღვაწეობასთან, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაცვასთან და შემოქმედებითს განვითარებასთან, იყო სტეფანე გიორგის ძე შაუმიანი. იგი საფუძვლიანად იცნობდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის კლასიკოსთა შრომებს, ქქონდა ფართო ერუდიცია, იცოდა ყოველდღიური ცხოვრების ფაქტების ვაწყოგადება და მათი არსის დანახვა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბალეით აშუქებდა მათ, და ყოველივე ეს მას პარტიის ერთ-ერთ გამორჩენილ თეორეტიკოსად, მარქსისტულ აზრის ბრეგანარების ლენინური ეტაპის თვალსაჩინო წარმომადგენლად ხდიდა. სერგო ორჯონიკიძემ, რომელმაც ხატოვნად განსაზოგრა ს. შაუმიანის ადგილი პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობაში, ტყუილად კი არ უწოდა მას „თეორიული მარქსიზმის მძიმე არტილერია“.

ს. შაუმიანის, როგორც მარქსისტ-ლენინელის შეხედულებათა ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ღრმა სოციალური კონფლიქტების მომწიფებისა და პროლეტარიატის ეფექტიანი ბრძოლების პირობებში, რაც გამოწვეული იყო შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების ბრძოლა ჩაღდებოდა. ს. შაუმიანი ყოველთვის ბეუცდომლად განსაზღვრავდა ხოლმე მტრული იდეოლოგიური მიმდინარეობის არსს, რა ნიღბითაც უნდა გამოსულიყვნენ ეს მტრები.

საგულისხმოა ასეთი ეპიზოდი. ჯერ კიდევ იქამდე, სანამ გამოქვეყნდებოდა ლენინის კლასიკური ნაწარმოები, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, ს. შაუმიანმა ძალზე ზუსტად განუსაზღვრა ფეხვები თეორიულად უსაფუძვლო და ბავნე მახისტურ მიმართულებას, რომელიც სოციალ-დემოკრატულ გარემოში შეიჭრა. ამ მხრივ დამახასიათებელია 1908 წლის ნოემბერში დაწერილი და მისა კაპაკიასათვის გაგზავნილი წერილი. „პატივცემული უფროსო ამხანაგისადმი“ (ასე წერს ს. შაუმიანი) წერილში იგი წერს, რომ ბოგდანოვის „ემპირიომონისტური“ თხზულებების სამი ტომი ამჟამად მაგიდაზე უდევს და შეძლებისდაგვარად კითხულობს. მერეა, რა შთაბეჭდილება იქმნება ამს ბოგდანოვის „ემპირიომონიზმის“ თაობაზე? — „ჯერჯერობით ჩემი აზრი უაღრესად უარყოფითია. — წერს ს. შაუმიანი. — ყოფიერებისა და ცნობიერების იგივეობრობის მისეული დებულება, ჩემი აზრით ძირს უთხრის მარქსის მთელ სისტემას“.

ს. შაუმიანის თეორიული მოღვაწეობის ერთ-ერთი შესანიშნავი თავისებურება ის იყო, რომ უშუალო პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს იგი ფილოსოფიურად იაზრებდა, მსოფლმხედველობრივი პრობლემების დონემდე განაზოგადებდა მათ. იგი დაუკავრმელ პროპაგანდას უწევდა სოციალისტური რევოლუციის გარდაუვალობისა და აუცილებლობის იდეას და დაასაბუთა იგი არა მარტო სოციალური ჭეშმარიტების ანალიზით, არამედ მეთოდოლოგიური ზოგადთეორიული საკითხების გაშუქებითაც.

ს. შაუმიანი მკაფიოდ ხედავდა კავშირს ფილოსოფიურ რეგიზიონიზმსა და პოლიტიკაში ოპორტუნიზმს შორის. იგი გაბედულად ებრძოდა ბერნშტეინსა და სხვა რევიზიონისტებს, რომლებიც რევოლუციურ შინაარსს აცლიდნენ დიალექტიკას. მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის რევოლუციურობა. წერდა ს. შაუმიანი, — „მათ დანალექ ელემენტად“, „დანამატად“ მიიჩნიათ და სოციალ-დემოკრატიას უჩრეფენ უარყოს ყოველგვარი „რევოლუციური უტოპია“ და გადაიქცეს მშვიდობიან, რეფორმისტულ, ევოლუციონისტურ „პარტიად“. ცხადია, რომ ერთგული ლენინელი გადაჭრით უარყოფდა მთელ ამ ბერნშტეინულ „რეკომენდაციებს“.

მეორე მხრივ. განაგრძობს ს. შაუმიანი, — „ჩვენ ვხედავთ უკიდურეს, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, „რევოლუციონისტებს“, რომლებიც ანარქიზმად აგდებდნენ საზოგადოებრივი ევოლუციის ძირითად კანონებს და ამის გამო უტოპიური, ანარქისტული „ფიანმბოზები ხდებიან“. როცა ს. შაუმიანს ამ მსჯელობას ვუფიქრდებით, ან შეიძლება ამ დაკანონდა, ან ეს ერეკ მნიშვნელობას ინარჩუნებს თანამედროვე ეპოქაშიც. განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო წლებში გამოფოფხლდა ეგრეთ წოდებული გოშიზმი და მემარცხენე ექსტრემიზმი: გავიხსენოთ პარიზის 1968 წლის ეგრეთ წოდებული „სტუდენტური რევოლუციის“ ლოზუნგი — „მოითმოგეთ შეუძლებელ!“.

ს. შაუმიანი ილაშქრებდა როგორც ევოლუციონიზმის, ისე ავანტიურისტული „რევოლუციონიზმის“ წინააღმდეგ. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებდა, რომ ევოლუცია და რევოლუცია სრულიადაც არ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ, პირიქით, ერთი და იგივე განვითარების ორი აუცილებელი სტადიაა, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ.

რამდენადაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კლასობრივი ურთიერთობა გარდაუვალად ანტაგონისტურია, განამარტავდა ს. შაუმიანი, სახელმწიფო კლასობრივი ინტერესების მეორგების ორგანო კი არ არის, როგორც ამას გვიხატავენ მთელი რიგი ბურჟუაზიული იდეოლოგები და ოპორტუნისტები, არამედ ძალადობის ორგანოა. იგი პირდაპირ წერდა: სახელმწიფო... ისტორიული ყოველთვის კლასობრივი ბატონობის ორგანიზაცია იყოო. ამასთან ს. შაუმიანი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი არსი არ იცვლება იმის გამო, რომ იგი ზოგჯერ დემოკრატიული სამოსით გვევლინება. „თანამედროვე სახელმწიფო, — წერდა იგი, — შეუზღუდველი მონარქისტული, კონსტიტუციურიც და თვით რესპუბლიკურიც კი (საფრანგეთის ბიუროკრატიულ-ცენზუსული რესპუბლიკის მსგავსი) ბურჟუაზიის ხელში ხალხთა მასების დამონებისა და ჩაგვრის იარაღია“.

ამატომ ს. შაუმიანი ამტკიცებდა, რომ რევოლუცია თავის ლასვარს მიპყრთავს „ზედნაშენის“ ისეთი ელემენტის წინააღმდეგ, როგორიც არის სახელმწიფო. „ძველი გაბატონებული კლასები, რომლებიც თავიანთ საარსებო ინტერესებს იცავენ და მთლიანად არიან დაკავშირებულნი არსებულ წყობილებასთან, ნებაყოფლობით ვერ დამთმობენ ძალაუფლებას. და გადამწყვეტ მომენტად კვლავ და კვლავ გვევლინება კლასობრივი ბრძოლა, იმარჯვებს კვლავ და კვლავ ძალა. და აი, საზოგადოების სტიქიურ ევოლუციურ განვითარებას გარდაუვალად ცვლის კატაკლიზმები, ძვრები, რევოლუციები. რომლებიც სპობენ ძველ „ზედნაშენებს“, რომლებიც აღარ შეესაბამება ადამიანთა ფაქტორიგ ურთიერთობას და აფერხებს საზოგადოების შემდგომ განვითარებას“.

რევოლუცია, რომლის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა, ს. შაუმიანს კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს გამოვლინებად მიაჩნდა. იგი ხელმძღვანელობდა იმ მარქსისტულ-ლენინური თეზისით, რომ რევოლუციის ცენტრალური საკითხია ძალაუფლების საკითხი.

ს. შაუმიანი დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხში მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და ბოლშევიკური პროგრამის შემუშავებასა და პრომპაგანდას. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი შრომები საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უთუოლ საკითხზე. ეროვნულ საკითხს დიდი ადგილი უკავია ვ. ი. ლენინთან ს. შაუმიანის მიმოწერაში. ვ. ი. ლენინმა იცოდა, რომ შაუმიანი ამ პრობლემაზე სპეციალური გამოკვლევების ავტორი იყო და ერთ-ერთ წერილში სწერდა: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩემს მდგომარეობაში კაცი დიდად აფასებს რუსეთში მცხოვრები ამხანაგების აზრს, განსაკუთრებით იმ ამხანაგებისა, რომლებიც საფუძვლიან საზრიანობას იჩენენ და ამ საკითხზე მუშაობენო.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხში პარტიის პროგრამას, ს. შაუმიანი განუზრელად მისდევდა ორ ძირითად პრინციპს: მუშებისა და ყველა შრომელის გაერთიანება ერთიან ინტერნაციონალურ ორგანიზაციებში, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, და ერთა თვითგამორკვევის და თვით გამოყოფის უფლებაც.

მტკიცე და თანამიმდევრული ინტერნაციონალისტი ს. შაუმიანი იცავდა მშრომელთა ყოველმხრივი ერთიანობის პრინციპს, კერძოდ, საერთო, ინტერნაციონალურ ორგანიზაციებში მათს გაერთიანებას. იგი გადაჭრით ილაშქრებდა ეგრეთ წოდებული „სპეციფიკების“ (დ. ანანუნი და სხვები) წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ სომეხი მშრომელები განკერძოებულ ეროვნულ ორგანიზაციებში გაეერთიანებინათ სომხეთის სინამდვილის სპეციფიკური პირობების საბაბით. ამ დაჯგუფებას ს. შაუმიანი სამრცხვინო ბრძოლე აკრავდა როგორც ბუნდის უადრეკ ასლს. ამასთან იგი განმარტავდა, რომ ბოლშევიკები „სპეციფიზმის“ წინააღმდეგი არიან იმიტომ, რომ იგი ცდილობს გარიყოს სომეხი მუშები კლასობრივი ძმებისაგან, და არა იმიტომ, რომ იგი კონკრეტული („სპეციფიკური“) პირობების გაკვალისწინებას მოითხოვს.

ს. შაუმიანის თეორიულ მოღვაწეობაში დიდი ადგილი უკავია სომხური ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის, სომხური კულტურის განვითარების საკითხებს. შაუმიანს ამ მეჩვიდრეობის მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ მასში შეფასებულია სომეხი მწერლების და პოეტების ესა თუ ნაწარმოები, ან ის, რომ გაშუქებულია სომეხი ხალხის ისტორიის ცალკეული მოვლენები. არამედ ის, რომ ს. შაუმიანმა ს. სპასდარიანთან, ა. მიასნიკოვთან და პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებთან ერთად საძირკველი ჩაუყარა სომხეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მარქსისტულ-ლენინურ ეტაპს და ამით დიდი გარდატეხა მოახდინა სომეხი ხალხის სულიერი კულტურის ისტორიაში.

ს. შაუმიანის უდიდესი დამსახურება ის გახლავთ, რომ მან დასახა ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების საფუძველზე სომეხი ხალხისა და ხომხური კულტურის მთელი ისტორიის ახლებურად გააზრვის ამოცანა.

ისტორიის მარქსისტული, მატერიალისტური გაგების თანახმად, წერდა ს. შაუმიანი, „ისტორიის პირველადი, ასე ვთქვათ, მამოძრავებელი ფაქტორია ეკონომიკური ფაქტორი. ყველა სხვა, ეგრეთ წოდებული იდეოლოგიური ფაქტორი — რელიგია, მორალი, მეცნიერება, სამართალი — მეორადი ანუ წარმოებული ფაქტორებია“. მაშასადამე, ისტორიის მამოძრავებელი ძალაა არა იდეა, არამედ მატერიალური დოვლათის წარმოება.

მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, თითქოს ს. შაუმიანი რამდენადმე მაინც ვულგარულ-მატერიალისტურად უარყოფდა იდეებს, იდეალებს, ზნეობრივი პრინციპების როლს. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის არქივში შემონახულია ს. შაუმიანის ჩანაწერები, რომლებიც ეხება ლაბრიოლას ცნობილ წიგნს „ისტორიის მატერიალისტური გაგების ნარკვევები“. ამ წიგნში ნათქვამია, რომ მეცნიერული მეთოდი სრულიადაც არ აიგივებს ადამიანთა მოღვაწეობის ფსიქიკურ და იდეურ-პოლიტიკურ მოტივებს ეკონომიკურ ურთიერთობასთან, „არამედ „საბოლოო ანგარიშით“ ამ ურთიერთობით ხსნის მათ“.

ს. შაუმიანის აზრით, ისტორიკოსის საქმე არ არის უარყოს ცალკეული პიროვნებათა მოღვაწეობის მნიშვნელობა, უარყოს იდეების მნიშვნელობა. ამოცანა ის გახლავთ, რომ, ვცნობთ რა მათ მნიშვნელობას, არ დავსჯერდეთ ამას და მოვუნახოთ ახსნა. მართალია, იდეალისტი ისტორიკოსები ხშირად ისტორიას თვალშისაცემი, შთამბეჭდავი მოვლენების აღწერასთან აიგივებენ. „ზერელე ისტორიკოსს, რომელიც ციდან დაჰყურებს მოვლენებს, ეჩვენება, თითქოს ისტორიაში მნიშვნელოვანი იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეს მოვლენები“. მაგრამ, თუ ამას არ დავსჯერდებით, დავინახავთ, რომ ხალხთა ცხოვრების, ისტორიის მსვლელობის განმსაზღვრელია ანა ეს გარეგნული მოვლენები, რაგინდ ამაღელვებელი და ეფექტანიც უნდა იყოს ისინი, არამედ ხალხთა მასების ყოველდღიური, მიმდინარე, „შშვიდობიანი“ ეკონომიკური ცხოვრება, მათი საწარმოო საქმიანობა, მათი შინაგანი კლასობრივი ურთიერთობა“. — წერდა ს. შაუმიანი. მაგრამ, განაგრძობს იგი, იმისათვის, რომ ხალიის ისტორია ამ დონეზე გამოიკვლიოს, ისტორიკოსს ცოდნა უნდა ჰქონდეს.

აქედან უნდა შეგვიშინოთ, რომ ს. შაუმიანის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების პრინციპების პროპაგანდას მიზნად ჰქონდა არა შორეული წარსული, არამედ უფრო თანამედროვეობის ისტორია.

ს. შაუმიანმა მთელი თავისი ცხოვრება, ტრაგიკული დადუპვის დღემდე პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს მოახმარა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სოციალისტური შეგნების ნათელი შეჭქონდა მშრომელებში. და თუ ჩვენი ხალხის — განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აღმშენებელი ხალხის შეგნებაში დღეს, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, „მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა ბატონობს“, ჩვენ ამ შეგვიძლია ალ გავიხსენოთ, თუ რა გაკაკეთეს ამისათვის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა თეორეტიკოსებმა და მათ შორის ს. შაუმიანმა.

ლ. აბრამიანი,

პროფესორი. ხომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვლევი იტყობინება

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

საბჭოთა კავშირის მახობრივი ინფორმაციის საშუალებანი დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკებას, მოლიანად ან დაწვრილებით აქვეყნებენ სიტყვებს, რომლებიც კრემლში გამართულ სადილზე წარმოთქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა. განმარტავს რა ამ სიტყვებს და მოლაპარაკების მიმდინარეობას, პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, სირია და სხვა პროგრესული არაბული ქვეყნები მხარდამხარ გამოდიან იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„ლ. ი. ბრეჟნევი: ჩვენ ვგმობთ კემპ-დეივიდის სეპარატულ გარიგებებს“, „საბჭოთა კავშირი სირიის მხარეზეა“, „მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა აღმოიფხვრება არაბ-ისრაელთა კონფლიქტის წარმომშობი მიზეზები“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ ცნობებს საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკების შესახებ **დამასკოს** გაზეთები.

სირიის რადიომ ამ მოლაპარაკებისადმი მიძღვნილ გადაცემაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას სათაეში უდგას „არაბების დიდი მეგობარი, მეგობარ მოიფლოს მშვიდობის განმტკიცებისათვის აქტიური მებრძოლი ლ. ი. ბრეჟნევი“. სსრ კავშირის თანამიმდევრული, ღრმად პრინციპული პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიმართ მთლიანად და სავსებით შეესაბამება არაბი ხალხების ძირეულ ინტერესებს, მშვიდობის ინტერესებს, ნათქვამია რადიოს კომენტარში. საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაბები სხვისი სათამაშო უსიტყვო პიონები კი არა, თავიანთი ბედის შემოქმედნი არიან და უარიბებოდ, მათ მაგიერად და არაბთა კანონიერი უფლებანინტერესების საწინააღმდეგოდ ვერავინ ვერ „ურუნველყოფს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ნამდვილ მოწესრიგებას. რადიო აღნიშნავს, რომ როგორც მოსკოვში განაცხადა ჰ. ასადმა, ახლო აღმოსავლეთში მოწესრიგება უნდა იყოს არაბი ერის თავისუფალი ნება-სურვილის შედეგი.

იორდანიის გაზეთი „ალ-აჰბარი“, გამამარტავს რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, ხაზს უსვამს, საბჭოთა კავშირი იღებს, რათა ისრაელმა გაიყვანოს თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, პატიჟი სცეს პალესტინელთა განუყოფელ უფლებებს. იმ ორი ფაქტორი, დასძენს გაზეთი, ახლო აღმოსავლეთში ჭეშმარიტი მშვიდობის დამყარების საფუძველია. როგორც ბორდანის მეორე გაზეთი „ად-დუსტური“ აღნიშნავს, მოსკოვის მოლაპარაკების მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ არაბი ხალხების ზურგს უკან და მათ წინააღმდეგ, მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება არსებითად ანნელებს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიან და ყოვლისმომცველ გადაჭრას და აყოვნებს ახლო აღმოსავლეთში ნამდვილი მშვიდობის მიღწევას.

ლ. ი. ბრეჟნევმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის კარი, ობიექტურად, კვლავ ღია, წერს **ბოლონური** „ტრიბუნა ლუდუ“, ეს გზა არის ჟენევის კონფერენცია, რომელიც საგანგებოდ შეიქმნა ამ რეგიონის ყოვლისმომცველი მშვიდობიანი მოწესრიგების კარდინალური საკითხების გადაჭრ-ლად. სსრ კავშირი მზად არის ამ გზით ერთანაშრომლოს ჟენევის კონფერენციის სხვა მონაწილეებთან და, მათ შორის, რა თქმა უნდა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან.

ამჟამად შექმნილ ვითარებაში, წერს საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკების კომენტარში **ჩეხოსლოვაკიის** „რუდე პრავო“, არა არის რა ისეთი, ეიდრე ახლო აღმოსავლეთის საქმეებში კაპიტალისტური ანტაგონიზმული ხასიათის დაპირისპირებული მთელი იმ ძალების შეკავშირება და გააქტიურება, რომელთა მიზანია მოიპოვონ ახლო აღმოსავლეთის ხალხების მშვიდობა და ხელოვნდელი დიდი რეზონი. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, წერს გაზეთი, კიდევ ერთი მკაფიო და ნათელი დადასტურებაა, იმისა, რომ საბჭოთა კავშირი პრინციპულ და თანამიმდევრულ პოზიციას ადგას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის საკითხში, და რომ ეს პოზიცია გამომდინარეობს პალესტინის ამ „ცხელ წერტილში“ ნამდვილი და სამართლიანი მშვიდობის უზენაესეულ ყოფის აუცილებლობიდან.

საბჭოთა ხელმძღვანელმა არა მარტო დაადასტურა სსრ კავშირის მტკიცე ხაზი ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებში, **არამედ** სავსებით გარკვევითაც აღნიშნა, **რომ** სეპარატულ მოლაპარაკებისა და აგრესორისადმი დათმობის გზა არ აახლოებს მშვიდობას, წერს **ამერიკის** ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნავს მეორე ამერიკული სააგენტო — იუნაიტედ პრეს ინტერნეშენალი, განაცხადა: თუ ეამინგტონში გულმავიწყობა დასჩენდათ და ალარ ახსოვთ ჟენევის კონფერენცია, ავიწყდებათ, რომ მას ჰყავს ორი თანათამგზრძმარე — საბჭოთა კავშირი და შეერთებულ-ლი შტატები აქედან გამომდინარე უფლება-მოვალეობებითურთ, საბჭოთა კავშირში ეს კარგად ახსოვთ და ჯეროვანადაც ითვალისწინებენ.

კემპ-დეივიდის სეპარატულმა გარიგებამ მერყეული სტრუქტურა შექმნა ახლო აღმოსავლეთში, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. პრაქტიკულად გადაეშალა დარჩა ყველა საკითხი, რომლებიც ეხება უმნიშვნელოვანეს პრობლემას — მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის მომავალს. პალესტინელებისა და მათი წარმომადგენლობის, აგრეთვე ისრაელის დასახლებების საკითხს.

საბჭოთა კავშირმა და სირიამ, აღნიშნავს **ფრანგული** „ლუმანიტე“, დაგმეს არაბთა ზურგს უკან სეპარატულ გარიგებათა დადების გზა, აგრესორისადმი დათმობის გზა და განაცხადეს, რომ ასეთი კურსი მშოლოდ აშეკვეთვ ვითარებას ახლო აღმოსავლეთში. მეორე ფრანგული გაზეთი „ფიგარო“, განამარტავს რა საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკებას, განსაკუთარებით უსვამს ხაზს, რომ მოსკოვის აზრით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი გადაჭრის გზა — ჟენევის კონფერენციის გზაა.

მოსკოვში ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჩამოყალიბებული საბჭოთა პოზიციის დედაარსი, თავიდათავი ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება უნდა ნიშნავდეს ისრაელის ჯარების გაყვანას 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან პალესტინის და არაბი ხალხისათვის იმ შესაძლებლობისა და უფლების მინიჭებას, რომ შექმნას თავისი ეროვნული ერა, საკუთარი სახელმწიფო, წერს **დასავლეთ გერმანიის** დეპეშათა სააგენტო. საბჭოთა კავშირი მუდამ **ადგას** ამ პოზიციას და მას არც დღეს ღალატობს.

ოპოზიცია დამარცხდა

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის წარმატება

ბონი, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. **ურბანი** იუწყება: **სოციალ-liberალური კოალიციის გამარჯვებით დამთავრდა 8 ოქტომბრის ბუნენის ლანდტაგის** (სამხარეო პარლამენტი) **მორიგი არჩევნები.** წინასწარი ოფიციალური ინფორმაციებით, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არჩევნებში მიიღო ხმების 44,3 პროცენტი, თავისუფალ-მა დემოკრატიულმა პარტიამ — 6,6 და ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა — 46,0 პროცენტი. არჩევნებში მონაწილეობდა ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა დაახლოებით 88 პროცენტი.

თუმცა საქმე ეხებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ითოდან ერთი სამხარეო პარლამენტის არჩევნებს, მისი შედეგები, ეჩვი არ აროს, ბუნენის ფარგლებს სცილდება. იგი მოასწავებს, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში იქ ხელისუფლების სათავეში დარჩება სოციალ-დემოკრატიისა და თავისუფალი დემოკრატიის კოალიცია, ანალოგიური ბონის კოალიციისა. გარდა ამისა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ოპოზიციურ ბლოკს „არ ეეწვის ხმების ორი მესამედი ბუნდესტაგში — დასავლეთ გერმანიის პარლამენტის პალატაში, სადაც წარმომდგენილი არიან მხარეები. ამით იგი ვერ შეძლებს ჩაშალოს ცენტრალური მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივები.

ფაშისტალათინიანეგმა თავი აიფეთეს

რომი, 8 ოქტომბერი. (საკდესი). **მასობრივ ანტიფაშისტურ მანიფესტაციად გადაიქცა ნეაპოლში ნეოფაშისტთა მიერ მოკლული 20 წლის სტუდენტის კ. მიკოლის დაკრძალვა. „დასაჯეთ ფაშისტი დამნაშავენი!“ „საკადრისი პასუხი გავცეთ მემარჯვენეთა პროვოკაციებს!“** — ასეთი ტრანსპარანტები მოჰკონდა ათასობით სტუდენტს, მუშას, მემარცხენე პარტიებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

უკანასკნელ დღეებში შავხალათიანები იტალიაში განსაკუთრებით გააქტიურდნენ. ამ ცოტა ხნის წინ მემარჯვენე არამზადების მსხვერპლი გახდა რომელი კომენტისტი ი. ძინი. გუშინ მილანში ნეოფაშისტებმა დაჭრეს სტუდენტი ა. კოსტანცი. რომის მახლობლად სოფელ ნეტუნოსთან რკინის წყლელებთია და ხელკეტებით შეიარაღებული შავხალათიანებმა ბანდა თავს დაესხა ახალგაზრდების ჯგუფს. ორი სტუდენტი დაშავდა. წუხელ ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს იტალიის კომუნისტური პარტიის დედაქალაქის ერთ-ერთი სექციის შენობას.

იტალიის პრეზიდენტმა ა. პერტინიმ საჯარო გამოსვლისას დაგმო ძალადობის აქტები. არ შეიძლება, თქვა მან, იტალიელ დემოკრატებს არ აწუხებდეთ ძალადობის აქტები, რომლებსაც სჩდიან ისინი, ვისაც ეროვნული ერთიანობის გათიშვა სწადია.

იპარავდნენ... წყალქვეშა ნავს

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი (საკდესი). **მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს თვით შეერთებული შტატების დამნაშავეობის ისტორიას, რომელიც უალრესად მდიდარია თავისი კურიოზებით. როგორც პრესა იუწყება, ქალაქ სენტ-ლუისში დააპატიმრეს ორი ამერიკელი, რომლებიც ატომურ-ნენ... ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბირთვული წყალქვეშა ნავის „ტრეპანგის“ მოპარვას, მერე კი გაყიდვას.**

იდუმალ მყიდველს „შენაძენი“ ატლანტის ოკეანეში უნდა მიეღო.

დამნაშავეებმა თავიანთი გეგმა ვერ განახორციელეს. სხვათა შორის, ამ ამბავში არის ერთი მომენტი, რომელიც ეამცარავებს სასაცინეესა და ძალადობაზე დაფუძნებული ამერიკის საზოგადოებრიობის მანკიერ ზნე-ჩვეულებებს. როგორც გამოირკვა, ქურდებს განზრახული ჰქონდათ მოესპოთ მთელი ეკიპაჟი, ხოლო ოკეანეში გასვლის წინ ბირთვული რაკეტული ზალბი მიეცათ შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ქალაქზე.

სოციალიზმის ქვეყნებში

სახალხო ფეიმი

ბერლინი. (საკდესი). **განსაკუთრებით საღღესასწაულოდ გამოიყურებოდა მარქს-ენგელს-ლენინის ბოლანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრში, რომელიც ალისფერ დროშებითა და ნარფერი ტრანსპარანტებით იყო მორთული. აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის ქვეგანყოფილების პარადი, რომელიც მიეძღვნა ღირსშესანიშნავ მოვლენას — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 29-ე წლისთავს.**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღესასწაულის ალსანიშნავად

ტრიბუნაზე იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმებოდნენ ეროვნული სახალხო არმიის მეომრებს. პარადს ჩაჰარა სახელმწიფო კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოების შეერთებულ ძალებთან სამხედრო ძალების, სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობის განმტკიცებისა და მშვიდობის დამკვიდრების მიზნით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს ფართოდ აღნიშნავს მთელი რესპუბლიკა. ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა სახალხო სეირნობანი, სადღესასწაულო კონცერტები“.

ოლიმპიური ჟურნალი

მოსკოვის ოლიმპიადა-80-ის ემბლემა — ყვავილების ტრადიციულ კარნავალზე უნგრეთის ქალაქ დებრეცენში. სხვადასხვა კომპოზიციის შესაქმნელად, რომლებიც ამ დღესასწაულს ამშვენებდა, ორ მილიონზე მეტი ყვავილი გამოიყენეს.

მბტ-სპიდსის ფოტო.

ეროვნული ერთიანობა

ბ. ბ. ბერეზოვსკი

**ეროვნული ერთიანობა — ეს ეს ... ეროვნული ერთიანობა — ეს ... ეროვნული ერთიანობა — ეს ... ეროვნული ერთიანობა —

მეგობრობის მელოდიები

დედაქალაქის საკონცერტო დარბაზები და მუსიკალური თეატრები სამი მომავალ რესპუბლიკის ხელოვნების ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობენ. საბჭოთა ამერიკავკასიის მელოდიებს საამოვნებით უსმენენ თბილისელები. ასე იყო პირველ დღეს, 5 ოქტომბერს, როდესაც დიდი წარმატებით შესრულდა ქერუბინის „რეკვიემი“ და ოპერა „დონ სეზარ“ შესანიშნავად იმღერა მაროს პარტია ბაქოს საოპერო თეატრის სოლისტმა ფ. ალიხანოვამ.

შემდეგი დღეებიც სასაამოვნო იყო მუსიკის მოყვარულთათვის. კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში საორგანო მუსიკის თაყვანისმცემლებმა მოუსმინეს ბაქოელ ორგანისტს რ. ბაბაევას. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კი გამოვიდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი პიანისტი და კომპოზიტორი ეგიფ მუსტაფა-ზადე და ჯაზ-ანსამბლი „მუღამი“: ამ კონცერტში მონაწილეობდნენ აგრეთვე საკავშირო ჯაზ-ფესტივალის ლაურეატები თ. უურამვილი და ღ. ჯაფარიძე.

საოპერო თეატრის სცენაზე ვერდის ოპერა „ტრუბადურში“ გამოდიოდნენ ბაქოს მ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ლ. ახაიშვილი და ვ. ლოკშინი.

ფესტივალის მონაწილეთა ერთ ჯგუფს თელავი მასპინძლობდა. გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და სომხეთის საგუნდო საზოგადოების კაპელის მონაწილეობით. გამოვიდა ვოკალური ანსამბლი „გორდელა“. დიდი წარმატება ჰქონდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მუსიკალური სკოლებისა და ქოროგრაფიული სასწავლებლების მოსწავლეთა კონცერტს.

ფესტივალის დამთავრებამდე დარჩენილი რამდენიმე დღე კიდევ ბევრ საინტერესოს პირდება მუსიკის მოყვარულთ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნების ფესტივალის კონცერტებზე

ლაპარაკობენ ფესტივალის მონაწილეები

ე. ცატურიანი,

სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, საგუნდო საზოგადოების კაპელის დირიჟორი.

შთაბეჭდილებები ძალზე დიდია. დაუვიწყარი იქნება ქართული მასპინძლობა და ფესტივალის გახსნის საღამო, როდესაც ჩვენმა კაპელამ საქართველოს სახელმწიფო ორკესტრთან ერთად მთელ კავშირში პირველად შეასრულა ქერუბინის „რეკვიემი“. ამ ნაწარმოებით, ჩემი აზრით, ქმაყოფილება მიიღეს როგორც შემსრულებლებმა, ისე მსმენელებმა. ჩვენ ვერც თელავს დავიიწყებთ, სადაც შესანიშნავი შეხვედრები გვქონდა. იქ შეკავშირეთ გ. არმენიანის კანტატა „თქმულება სომხეთზე“, ო. თაქთაქიშვილის „გურული სიმღერები“ და ალავერდის ტაძარში — ქერუბინის „რეკვიემი“.

მომავალ შეხვედრამდე, ერევანში, მეგობრებო!

რ. აბდულაევი,

აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბაქოს მ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი.

თბილისში უკვე მესამედ ვარ. ძალზე კმაყოფილი დავრჩი ამით, რომ გავიცანი საქართველოს დიდებული სიმფონიური ორკესტრი, რომლის ყოველი შემსრულებელი პირველხარისხოვანი მუსიკოსია. მე უკვე ვედიდებოდი რამდენიმე აზერბაიჯანელ მუსიკალურ ნაწარმოებს და გ. არქენიანის კანტატას „თქმულება სომხეთზე“, რომელიც სამავე რესპუბლიკის ძალებით შესრულდა.

ჩემი აზრით, ფესტივალი ამართლებს თავის მისიას: ჩვენ უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი, მოხდა აზრთა გაზიარება სხვადასხვა პრობლემაზე. ერთი სიტყვით, ასეთი შეხვედრები გვჭირდება.

ჯ. კახიძე,

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი.

კარგად არის მოფიქრებული ფესტივალის პროგრამა. მაგრამ მომავალში ფესტივალის ორგანიზატორებმა უნდა გითვალისწინონ, რომ მეტი სიღრმე მისცენ მას. აქ ბევრი კარგი ნაწარმოები შესრულდა. თუნდაც ქერუბინის „რეკვიემი“ რად ღირს!

იმედი მაქვს, რომ სამი მოძმე რესპუბლიკის მუსიკოსთა შემდგომ შეხვედრებს საერთაშორისო რეზონანსიც ექნება.

ჩემპიონი გვირგვინით შეამკეს



შაბათს ბიჭვინთაში საზეიმოდ დაახურა მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის — ახალ მსოფლიო ჩემპიონს — მარა ჩიბურდანიძეს, რომელმაც აღგვაფრთოვანა თავისი დიდებული ხელოვნებით, იმდენად მიეწოწა მშვენიერი ბიჭვინთა, რომ ახლავე თანახმა სწორედ აქ ითამაშოს თავისი მომავალი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. იგი მეტოქესაც ასახელებს — ნონა გაფრინდაშვილს, — განაცხადა მსოფლიო პირველობაზე მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლ. მარშანიამ, რომელმაც გახსნა საზეიმო საღამო.

მატჩის შესახებ ანგარიშით წარსდგა მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი და საერთაშორისო არბიტრი ა. შაიტარი (ჩეხოსლოვაკია). — 48 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ეს მეტად საინტერესო ორთაბრძოლა თანამედროვეობის ორ უდაოდ უძლიერეს დიდოსტატს შორის, თბილისი იყო და დარჩა ქალთა საჭადრაკო სამყაროს დედაქალაქად. ორივე მეტოქე უაღრესად კორექტული იყო. მათ ქეთილშობილებისა და ერთმანეთის პატივისცემის ჩინებული ნაგალითი გვიჩვენეს, — თქვა მან.

ტრიბუნაზეა ფიდეს გენერალური მდივანი ქალბატონი **ინგე